

შპს “კულტურიე ი.მ.ს.”-ს

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	5
3. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	7

შპს “_____”

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		605	555	544
სულ გრძელვადიანი აქტივები		605	555	544
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები		1,287	1,007	894
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		101	88	65
გადახდილი ავანსები		446	318	240
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		1,126	787	261
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,960	2,200	1,460
სულ აქტივები		3,565	2,755	2,004
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8	8	8
გაუნაწილებელი მოგება		3,366	2,633	1,852
გადაფასების რეზერვი		190	110	110
სულ საკუთარი კაპიტალი		3,564	2751	1970
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		1	4	34
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1	4	34
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3565	2755	2004

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 23 სექტემბერი .

ბატონი იური კირაკოსიანი, დირექტორი

შპს “_____”

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31.12.2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი მომსახურების გაწევა/საქონლის რეალიზაცია	3,431
სხვა შემოსავლები	196
სულ შემოსავალი	3,627
შრომის ანაზღაურება	(149)
კომუნალური ხარჯი	(3)
ცვეთა/ამორტიზაცია	(30)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,418)
სხვა ხარჯი	(294)
მიმდინარე წლის მოგება /(ზარალი)	733

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
ხელმოწერილ იქნა 2019 წლის 23 სექტემბერი .

ბატონი იური კირაკოსიანი, დირექტორი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კუტურე ი.მ.ს.“ (კომპანია) დაარსდა 1999 წლის 23 ივნისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 211387970). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ელექტრო ტექნიკის რეალიზაცია და სამკერვალო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ თბილისი პეკინის N 2.

2007 წლის 17 აგვისტოდან დღემდე 2019 წლის 23 სექტემბერი, კომპანიის დამფუძნებლები არიან:
01002000953, იური კირაკოსიანი-50%
01029010878, სპირიდონ ვართანანი-50%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

2.2 მსს ფასს-ების პირველადი დანერგვა.

ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, ამდენად ახსნა-განმარტება იმისა თუ რა გავლენა იქონია მსს ფასს-ებზე გადასვლის მიზნით მომზადებულმა პირველმა ფინანსურმა ანგარიშგებამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი.

2.3 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული საქონლის და მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მიწოდებულია პროდუქცია ან გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლების აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების და გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით.

2.4 წარდგენის ვალუტა.

სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-20 წელი

მანქანა-დანადგარები 10 წელი

საოფისე აღჭურვილობა 10 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი -10 წელი

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება ინდივიდუალური დანახარჯების და საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით (გათვალისწინებულია ინკოტერმის პირობები), იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

2.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

რეალიზაცია ხორციელდება როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადახდის ტერმინალით და კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადმორიცხვით. იმ შემთხვევაში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად.

2.8 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით.

2.9 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხები.

2.10 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ დაქირავებული მომუშავეები.

2.11 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით.

3. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს.